

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №985
2024 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 18 მარტის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 18 მარტის №69 ბრძანებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (www.matsne.gov.ge), 18/03/2015, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016574) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის წარმოებას;“;

ბ) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ ქვეპუნქტი:

„ა¹) ნორმატიული აქტების, კანონმდებლობით სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების, სასამართლო გადაწყვეტილებების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების ქართულად ნათარგმნი ტექსტების, სხვა დოკუმენტებისა და ინფორმაციის, აგრეთვე, ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ქართულად ნათარგმნი ტექსტებისა და სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი ტექსტების საქართველოს ნორმატიული აქტების მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნებას/განთავსებას;“;

გ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) საქართველოს ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების (გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა) ინგლისურად, სხვა უცხო ენაზე ან/და ქართულად თარგმნას, საქართველოს საკანონმდებლო აქტების აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე – აფხაზურად, აგრეთვე, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული, ოსური) თარგმნას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების უცხოურენოვანი ტექსტების ქართულად თარგმნას; ტერმინოლოგიური ლექსიკონების შემუშავებას;“;

დ) „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ¹“ – „ლ³“ ქვეპუნქტები:

„ლ¹) კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, მონაცემთა და სტატისტიკის ანალიზს;

„ლ²) პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობას;

„ლ³) კანონმდებლობის ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;“.



2. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნათარგმნი ტექსტების მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნებას/განთავსებას;“.

3. მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ¹“ – „მ³“ ქვეპუნქტები:

„მ¹) კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, მონაცემთა და სტატისტიკის ანალიზს;

მ²) პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობას;

მ³) კანონმდებლობის ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;“.

4. 10¹ მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ევროკავშირის სამართლებრივი აქტების, აგრეთვე, სხვა საჭირო დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნას;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი;

„ბ¹) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების უცხოურენოვანი ტექსტების ქართულად თარგმნას;“;

გ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ტერმინოლოგიური ლექსიკონების შემუშავებას, ასევე ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზების შექმნას, განახლებასა და დახვეწას;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

რატი ბრეგაძე

